ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №50

19 ივნისი, 2025 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე, ნათია მოდებაძე და გურამ ოქროპირიძე.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (**№12-032516961-03; 18.06.2025**).
მომხსენებელი: ლევან მიქავა
თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა **დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ლევან მიქავას, რომლის განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (45 650,0 ათასი ლარი) გამოყენების, მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლებისა და მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, კერძოდ: იზრდება მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობა დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 700,0 ათასი ლარით (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 16 მაისის MOH 4 25 00543573 და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების

საქალაქო სამსახურის 2025 წლის 22 მაისის N15-01251422201 წერილი), ხოლო სხვა შემოსავლების ნაწილში მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 800,0 ათასი ლარით და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის) - 15 000,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება სულ 62 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 2 271 497,5 ათას ლარს.

განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებული საბიუჯეტო პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებაში წარმოდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით სხდომაზე განიმარტა, რომ აღნიშნული სფეროების ხელშემწყობი პროგრამებისა და ქვეპროგრამების დასაფინანსებლად ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარით;
- მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) – 232,0 ათასი ლარით;
- პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) – 800,0 ათასი ლარით;
- ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) - 70,0 ათასი ლარით;
- სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) - 14,0 ათასი ლარით;
- მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 953,6 ათასი ლარით;
- საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი" (კოდი 08 04 01) - 44,0 ათასი ლარით;
- ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) – 27,7 ათასი ლარით;
- კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) – 60,4 ათასი ლარით;
- კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) პროგრამის ასიგნებები - 900,0 ათასი ლარით;
- თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი (კოდი 08 12) პროგრამის ასიგნებები – 9,6 ათასი ლარით;
- ინკლუზიური ხელოვნებისა და განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 50,0 ათასი ლარით.

მცირდება:

- შემოქმედებითი თბილისი (კოდი 08 09) - 61,3 ათასი ლარით.

გარდა ამისა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) ქვეპროგრამის ფარგლებში, გაიზარდა ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა 5 ერთეულით.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით მოსაზრება გამოთქვეს:
კახაბერ ლაბუჩიძემ.

„ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმისთვის გამოყოფილი ტერიტორიის რეაბილიტაცია წელს დაიწყება. შემდეგ წლებში მუზეუმი მთლიანად იქნება ადაპტირებული და ხელმისაწვდომი სხვადასხვა საჭიროების ადამიანებისთვის. თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმი თანამედროვე მუზეუმისთვის საჭირო მოთხოვნებს უპასუხებს. მუზეუმს შემეცნებითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება როგორც ახალგაზრდა თაობისთვის, ასევე დედაქალაქის სტუმრებისათვის“ - განაცხადა კახაბერ ლაბუჩიძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	5
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	0

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, ერთხმად დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე